№ 50
ოთხშაბათი, 8 მარტი, 1900 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 50
ოთხშაბათი, 8 მარტი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**ბაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა
**დილით:**

**ვ, ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა, ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ,

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბიბთაბებოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიძოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა,

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ბ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ).

## გამგეობა გურიის ამხანაგობის
## „შუამავალისა“

აცხადებს, რომ ამხანაგობის წევრებმა 1899 წლის დივიდენდის მისაღებად უნდა მოაკითხონ ოზურგეთსა და ლანჩხუთში ამხანაგობის კანტორაში, ან გამოჰგზავნონ თავიანთი ადრესი და გაეგზავნებათ საფოსტო ხარჯის გამორიცხვით.

არა სრულ წევრთ განეგრძო ვადა კიდევ ექვს თვემდის; ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შეავსებს წილის ფულს სრულიად, გამოირიცხება ამხანაგობისაგან.

იმ წევრთ, რომლებზედაც ითვლება ნისია, კიდევ განეგრძოთ შემოტანის ვადა ამა წლის ივლისის დამლევამდის, შემდეგ-კი გამოირიცხებიან. (3—62—3)

მმართველი ს. ქეიშვილი

## მთავრობის განკარგულებანი

**ბეგმა 1900 წელს ტფილისის გუბერნიაში გასამიჯნავ მიწებისა, შედგენილი სამოსამართლო პალატის გამმიჯნავ საკრებულოს მიერ ამა წლის 11 თებერვალს და დამტკიცებული სასჯულოს საქმეთა მინისტრისაგან თებერვლისავე 25 ს.**

გამიჯვნის მუშაობანი დაიწყება:

თიონეთის მაზრა.

1) სოფელი ბახტრიონი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება: მიწების გამიჯვნა იქნება აპრილში. გამიჯვნის საქმეს შეასრულებს უმცროსი მიწის მზომელი ლობოდა.

2) დაბა თიონეთი. მაისში. გამმიჯვნელი იქნება იგივე.

დუშეთის მაზრა.

3) სოფ. აჯაკელა. იგივე წინამძღვარიანთ-კარი, აღსრულებულ იქმნება სამედიატორო გარდაწყვეტილება მამულის გაყოფის შესახებ. ივნისში. გამმიჯვნელია იგივე.

4) სოფ. კუბრიანთ-კარი. ივლისში, იგივე

5) სოფ. ყვავილი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება მამულის გაყოფის შესახებ. აგვისტოში. გამმიჯვნელია იგივე.

6) აზნაურ ყარანგოზიშვილების ადგილი. სექტემბერში გამმიჯვნელი იქმნება იგივე.

7) ზემო დუშეთი. სექტემბერში. გამმიჯვნელია იგივე.

8) სოფ. გრიგოლიანთ-კარი აღსრულებაში იქმნება მოყვანილი მორიგების წერილი. ოქტომბერში, გამმიჯვნელია იგივე.

9) სოფ. მუხრანი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. მაისში. გამმიჯვნელი იქმნება მიწის მზომლის უფროსი თანაშემწე მ. ივანოვი.

10) სოფ. კოდის-წყარო. გაყოფა მე-2 და 3 №№-ის მიწის ნაჭრებისა. მაისში. გამმიჯვნელია იგივე.

11) სოფ. ახალ-გორი აღსრულებულ იქმნება მორიგების წერილი მაისში. გამმიჯვნელია იგივე.

12) სოფ. ძეგლევი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. ივლისში. გამმიჯვნელი იგივეა.

13) სოფ. იკოთა. სასამართლოს გარდაწყვეტილება და ადგილების გაყოფვა. აგვისტოში. გამმიჯვნელია იგივე.

14) სოფ. არგუნი.—მაისში. მიწების გამმიჯვნელი იქმნება უფროსი მიწის მზომელი ზაალოვი.

15) სოფ. ქაის-ხევი.—ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

16) სოფ. ზოტიკიანთ-კარი და ფხუდავი. აგვისტოში. გამმიჯვნელია იგივე.

17) სოფ. ინიანთ-კარი. ოქტომბერში გამმიჯვნელია იგივე.

18) სოფ. ლაშაურთ-კარი. აღსრულებულ იქმნება მორიგების წერილი. ოქტომბერში. იგივე.

19) სოფ. მონასტერი და დგუი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. [illegible] უფროსი მიწის მზომელი ბაქბეუქ-მელიქოვი.

20) კუი-ჯვარი. ახალი გამიჯვნა. ივნისში. გამმიჯვნელია იგივე.

21) სოფ. ბოსელთა და ციხი-სოფელი. ივნისში. გამმიჯვნელია იგივე.

22) სოფ. გრუი. აგვისტოში. გამმიჯვნელია იგივე.

23) სოფ. საძეგური. სექტემბერში, გამმიჯვნელია იგივე.

# ფელეტონი

## ახალი საქმე
(სურათები სოფლის ცხოვრებიდგან)
(შემდეგი *)

### III

— „ბატონებო, დაიწყო სტეპკომ, როდესაც ყველანი დალაგდნენ თავ-თავისს ადგილას: თითოეულმა თქვენგანმა იცის აქ მოსვლის მიზეზი. დროა ბოლო მოეღოს აქაურ ჩარჩ მოვაჭრეთა თარეშობას, ძარცვა-გლეჯას. დროა ჩვენს თავს თვითვე უპატრონოთ, ჩვენი სიმდიდრე ჩვენვე დავიბრუნოთ. ეხლა მთელის საქართველოს საუკეთესო შვილთა ყურადღება ჩვენსკენ არის მოქცეული, ჩვენ შემოგვყურებენ, აცა შესძლებენ ამ სასიქადულო საქმის განხორციელებას, თუ არაო. ჩვენც დავანახვოთ ქვეყანას, რომ მომწიფებულნი, დავაჟკაცებულნი ვართ და შევიძლებთ კიდეც ამ სამაგალითო, თითით საჩვენებელ საქმის გაძღოლას, ჰირისუფლობას, მოკეთეთა სასიხარულოდ და მტერთა გულ-დასათუთქად, თვალ-დასაშრეტად. მართლაც, თუ მოყვარენი სიამოვნებით მიეგებებიან ამ ჩვენს საზოგადო დაწყობილებას, დუშმანნი კბილის ღრჭენითა და პირზე ცოფ-მორეულნი ჯავრისაგან დაიხოცებიან და ათას გვარ ჭირს გაავრცელებენ... მალე გამოჩნდება, ძმანო, რომ შეერთებულს ძალახ, ამხანაგობა შეკავშირებას ბევრი რამ შეუძლიან გააკეთოს. ევროპის მაგალითი თვალწინა გვაქვს. მოკლე ხანში ჩვენი ამხანაგობა ფრთებს გაშლის ხალხის საკეთილდღეოდ და წელში გამაგრებული მუსრს გაავლებს სოკოსავით გამრავლებულ წვრილ-ფეხა მოვაჭრეთა დუქნებს, ძირიან-ფესვიანად ამოაგდებს. ეხლა თუ უნდო, ექვის თვალით გვიცქერიან, მალე დარწმუნდებიან, რომ ჩვენი დაწესებულება, მოგებისა კი არა, კერძო მოვაჭრეთა ასალაგმავად არის დაწყებული, იმ მგელ-კაცებისა, რა ჯურისა და ფესვისაც უნდა იყვნენ,—რომელნიც უწყალოდ, შეუბრალებლად ჰყვლეფავენ უვიც, ვაჭრობის უცოდინარ ხალხს—ჩვენს დაწესებულებაში ყველაფერი რიგიანად, პირიანად, სამართლიანად უნდა სწარმოებდეს. ამა მაშინ ყველანი ჩვენის საამხანაგო სავაჭრო მაღაზიისაკენ დარუვდებიან და ის აუარებელი სიმდიდრე, რომელიც აქამდის მტაცებელთ მიჰქონდათ, ხალხისავე საკეთილდღეო დაწესებულებას მოჰხმარდება. აი ჩემ მიერ შემუშავებულ წესდებას წაგიკითხავთ და ყველა თქვენთაგანმა თავისი მოსაზრება წარმოსთქვას ამის შესახებ“...

წაიკითხეს წესდება და ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს მიხა პაპაანთი წამოდგა ფეხზედ, გრძელ ულვაშებზე ხელი გადისვა, კოხტად დაიგრიხა და დაიწყო.

— ეგ ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მართლაც დროა თავი დავახწიოთ მგელ-კაცებს, წრუბელა მოვაჭრეთ, როგორც თქვენ ამბობთ, მხოლოდ ის უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მგელ-კაცები უომროდ არ დაგვითმობენ ბრძოლის ველს. ჩვენ ეხლა მედგარი შეტაკება მოგვიხდება იმ სვავ-ყორნებთან, რომლებსაც მაგრათა აქვთ კლანჭები ჩაჭერილი ჩვენს ოფლით მონაგარზე. ისინი უკანასკნელ წუთამდის, სისხლის დალევამდის თავს არ გაგვანებებენ, ყოველ გვარ საშუალებას მიჰმართავენ ხელიდგან არ გაუსხლტეთ დიდის ხნით დაპატრონებული ულუფა. ამისათვის ეხლავე გაზომილი უნდა გვქონდეს ჩვენი ძალ-ღონე, უნდა ვიცოდეთ, რა საგძლით, რა სამზადისით ვაპირებთ მტერთან შებმას. ხო ვიცით მტერი ძლიერია...

— არც მაგრე უნდა გავაზვიადოთ მტრის სიძლიერე, სთქვა სტეპკომ. რასაკვირველია, კაცმა თვალები არ უნდა აიხვიოს, რომ თავისი სისუსტე ვერ შეამჩნიოს, მაგრამ ყოველთვის ის უნდა გვახსოვდეს, ამისთანა ახალი საქმე პატარიდგან დაწყებულა. მხოლოდ-კი საჭიროა ეს საქმე კეთილ საფუძველზედ იყოს დამყარებული. რიგიანად დაწყებული საქმე შემდეგ თვით მიიზიდავს ხალხის თანაგრძნობას და პატარა საქმიდგან იმ ჩვენს სავაჭრო სახლს უზარმაზარ გალონიერებულ მაღაზიად გადავაქცევთ და მერე მტერთა შეერთებული ძალა, ბჭენი ჯოჯოხეთისანიც-კი ვეღარაფერს დაგვაკლებენ. ნუ შეუშინდებით, ბატონებო, მტრებს. სასიქადულოც მაშინ იქმნება, რომ პატარა სმქმეს დიდს საქმედ ვაქცევთ. ყველა აქ დამსწრეთაგანს სურვილი აქვს გამოცხადებული წევრობის, მასწავლებელ გარსევანს შემოაქვს ორმოცდაათი თუმანი, გეგენა თავისს მხრივ ასის თუმნის შემოტანას გვპირდება და ამ თანხით პირველ ხანში შესაძლებელია საქმის დაწყება.

— ბატონობო, აი, რა უნდა მოგახსენოთ, სთქვა გეგენამ: ამ ხელად ორმოცდაათი თუმანი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, მერე კი, როდესაც დავინახავ, რომ ჩვენი საქმე კარგად წავა, ფეხს მოიკიდებს, ორმოცდაათს თუმანსა და მეტსაც ჩამოვალ.

— ეგეც კარგი და პატიოსანი, ეგეც, ღმერთმა ადღეგრძელოს, გაისმა აქეთ იქიდგან; ჩვენ გვეგონა გეგენამ თავისს დაპირებას ჩაილულის წყალი დაალევინაო...

— როგორც ჰხედავთ, ბატონებო, განაგრძო სტეპკომ, ამხელად თუმცა პატარა, მაინც საკმაო თანხა სდგება, რათა ეს საქმე დავიწყოთ. ეხლა საჭიროა გამგეობის თავმჯდომარე და სამი წევრი ამოვირჩიოთ, რომელნიც მოვალენი იქმნებიან ფული მოკრიბონ იმათგან, რომელთაც წევრობის თანხმობა გამოაცხადეს, ნოქრები დაიქირავონ, დუქანი დაიგულონ და ქალაქში წავიდნენ სავაჭროდ, საქონლის მოსატანად. ერთის სიტყვით, ამას იქით იმათ უნდა იკისრონ ამ საქმის კეთილად გაძღოლა, მოვლა, პატრონობა. მე ჩემის მხრით წესდებისა თანახმად, ოთხ კაცს დავასახელებ გამგეობის წევრებად. აი, პირველი, ფერშალი სამსონი, რომელიც მოწადინებულია ამ საზოგადო საქმეს ემსახუროს—თავისს ხელობას თავს დაანებებს, თუ გამგეობის წევრად ამორჩეულ იქმნება. მეორე და მესამე წევრებად მასწავლებელ გარსევანს და გეგენას, რომელთაც ორმოც-და-ათ-ათი თუმანი შემოაქვთ, მაშასადამე, გულიც შესტკივათ ამ საქმისათვის, და მეოთხე წევრად პაპანთ მიხას, რომელიც იმედია ჩვენს დაწესებულებას თანაგრძნობას მოუპოვებს, მოიზი-

*) იხ. „ივერია“ № 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24) სოფ. ცხოვათი. ოქტომბერში. გამმიჯვნელია იგივე.

25) სოფ. ველური ანუ ჩქიულა გაყოფა მიწებისა. აპრილში. გამმიჯვნელია უმცროსი მიწის მზომელი უთნელიშვილი.

26) სოფ. ქვემო-ცუძენი. მაისში. გამმიჯვნელია იგივე.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბავი

*** უმაღლესის ბრძანების ძალით, ქუთაისში ქუკვე ჩამოვიდა პეტერბურგიდგან სამი რევიზორი: ბ-ნნი ალიშევსკი, გოლუბაევი და ჟუკოვსკი, რომელნიც ამ დღეებში შეუდგებიან ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის საფინანსო მდგომარეობის გამოკვლევას.

*** ამ ერთის თვის წინად ტფილისის მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარიის გამგეობამ გაუგზავნა წმ. სინოდს საბოლოოდ შემუშავებული გეგმა სემინარიის ახალის შენობისა, რომლის აშენებასაც ვერაზედ შეუდგებიან გეგმის დამტკიცების შემდეგ. ამის გამო სემინარიის გამგეობას განუზრავს გაყიდვა აწინდელის შენობისა, რომელიც პუშკინის ქუჩაზედ იმყოფება და ვაჭრობისათვის მეტად მოხერხებულ ადგილზეა. როგორც გავიგეთ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთს მდიდარ კაცს გამოუცხადებია ამ შენობის შესყიდვის სურვილი, შეუძლევია ამ კაცს სულ 350,000 მანეთი.

*** დღეს, 8 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს [ცნობილს საქმეს ტფილისის სათავად-] აზნაურო ბანკის და ნასიბეგოვის შორის ატეხილ დავის შესახებ.

*** ქ. ბაქოში 1900 წლის იანვრის თვის განმავლობაში ამოუღიათ სულ 43,124,807 ფუთი ნავთი; პირველ თებერვლისათვის საწყობებში ყოფილა სულ 8.595,615 ფუთი ნავთი.

*** კვირას, 5 მარტს, საღამოს 6 საათზედ, ქალაქ განჯაში მიწის-ძვრა მომხდარა. მიწის ძვრამ 15 წამი გასტანა თურმე.

*** გუბერნიის სამკურნალო მართველობას მკურნალი გაუგზავნია გორის მაზრაში ყველა სოფლებისა და დაბების დასათვალიერებლად. მკურნალს მინდობილი აქვს გამოიკვლიოს სანიტარულად რა მდგომარეობაში არიან ამ მაზრის დაბა-სოფლები.

*** 4 მარტს ტფილისის დედათა ინსტიტუტში სამუსიკო საღამო იყო გამართული, რომელზედაც, სხვათა შორის, მონაწილეობა მიიღო საიმპერატორო თეატრის არტისტმა ბ-ნმა იაკოვლევმა. საღამოს დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე.

*** ამ თვის 5-დგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფოთის შტოზედ შავის ქვის გადასაზიდავად საქონლის მატარებლების მიმოსვლის ახალი წესი იქმნა შემოღებული.

*** კავკასიის მცირე წლოვან და მნაშავეთა გამასწორებელ საზოგადოებას ამ დღეებში ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან 3,836 მანეთი და 36 კაპ. შემოწირულება მიუღია.

*** შაბათს, 4 მარტს, მოხდა კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა და რა ზომები უნდა შემოიღოს მთავრობამ, რომ გაძლიეროს ამიერ-კავკასიაში ადგილობრივი აბრეშუმის თესლის დამზადება. კრებამ ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს შემდეგი: 1) განთავისუფლებულ იქმნას აბრეშუმის თესლის დასამზადებელი ქარხნები ყველა სახელმწიფო გარდასახადისაგან ათი წლის განმავლობაში; 2) სახელმწიფო ბანკებიდგან მიეცეს ადგილობრივ გრენიორებს სესხი სოლოვექსილებით; 3) იმ გრენიორებს, რომელნიც განიზრახვენ თესლის დასამზადებელ ქარხნების გაშენებას სახელმწიფო მიწებზე, დაეთმოთ მათ მიწები უფასოდ; 4) ყველა ის ნივთები, რაც საჭიროა თესლის დასამზადებელ ქარხნების მოსაწყობათ — მიკროსკოპები, „სტუპოჩკები“ (პატარა ქვიჯიკები) შუშები და სხვა — დაეთმოთ გრენიორებს იმ ფასებში, რა ფასებშიაც საზღვარგარეთ ისყიდება და არავითარი ბაჟი არ გადახდეთ ამ ნივთების გამოწერის დროს. 5) ხშირად ზოგიერთი გრენიორები ატყუილებენ მეაბრეშუმეებს იმით, რომ 6—7 მისხალ თესლის მაგივრად — 4 ან 5 მისხალს ჰყრიან კოლოფში. ამ ბოროტ-მოქმედების ასაცდენად კრებამ დაადგინა, რომ ადგილობრივად დამზადებული გრენა იქმნას 1, 5, 10 და 15 მისხლიანი კოლოფებში ჩაყრილი; 6) უსათუოდ შემოღებულ იქმნას სავალდებულო შემოწმება აბრეშუმის თესლისა როგორც ადგილობრივად დამზადებულისა, ისე უცხოეთიდგან შემოტანილისა. 7) შესამოწმებელი ქირა გადახდეს უცხოეთიდგან შემოტანილ თესლს მისხალზე 2 კ. და ადგილობრივ თესლზე-კი მისხალზე 1 კ.; ამ გარდაწყვეტილებას ზოგიერთი აკულისელი გრენიორები არ დაეთანხმნენ და ცალკე მოხსენება შემოიტანეს, რომელშიაც თხოულობენ დაედვას უცხოეთიდგან შემოტანილ გრენას 2 კ. მაგივრად 6—7 კ., რათა ცოტა უფრო გაძვირდეს უცხოეთიდგან შემოტანილი გრენა, რომელიც ისყიდება თითქმის ჩალის ფასად და ადგილობრივად დამზადებული თესლი ვერ უწევს ფასებში კონკურენციას. ამ აზრს წინ აღუდგნენ თითქმის ყველა დამსწრე სპეციალისტები და წარმოსთქვეს ის აზრი, რომ უცხოეთიდგან შემოტანილი თესლი ამ ჟამად მეაბრეშუმეებს უჯდებათ სამიდან ოთხ მანეთამდე კოლოფი, (6 მის.) და უცხოეთიდგან შემოტანილ თესლის ფასების აწევა სრულებით არ არის სასურველი, რადგანაც ამნაირი ფასების აწევა გამოიწვევს მხოლოდ მეაბრეშუმეთა ნივთიერს ზარალს და სხვა. („ცნ. ფურ.“)

*** ქუთაისი. კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს, თუ რა დანიშნულება მიეცეს საადგილ-მამულო ბანკისაგან დასაბრუნებელ ძირითადს თანხას, ხშირად იკრიბება საბჭოდ, მაგრამ იგი ჯერ არ დასდგომია ერთს რომელსამე განსაზღვრულს გარდაწყვეტილებას: კომისიის ზოგიერთი წევრი იმ აზრისაა, რომ ეს თანხა მოხმარდეს ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის დაარსებას, ზოგი იმასა ჰფიქრობს, რომ იგი მოხმარდეს სათავად-აზნაურო პანსიონებს, ხოლო ზოგი კიდევ აწ არსებულის სათავად-აზნაურო სკოლის გიმნაზიად გადაკეთებას და მისს უზრუნველ არსებობას ამჯობინებს.

*** ამ დღეებში იარმუკაზედ, ძველ წიგნების დუქნებში უნახავთ ერთი ქართული ხელთ-ნაწერი. ამ ხელთ-ნაწერში მოთხრობილია რუსეთის იმპერატორის პეტრე დიდის შვილის თავგადასავალი. როგორც ეტყობა, ქართველი დამწერი თანამედროვე ყოფილა პეტრე დიდისა და თვით გაგონილი ამბები აუწერია.

*** კვირას, 5 მარტს, სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოიყვანეს ციმბირიდგან გამოქცეული სიღნაღის მაზრის მცხოვრებელი კურბან-ალი მამად-ოღლი, რომელიც სამობრ დარაჯს დაუჭერია. მამად-ოღლი დაჭერის დროს გამალა დებულა და თოფის სროლა დაუწყია. მამედ-ოღლი ხელში დაუჭერიათ. დაშავებული ხელი მისჯილის საავადმყოფოში მოსჭრეს.

*** ამ ჟამად ქალაქში მეტად გავრცელებულია ინფლუენციით ავადმყოფობა; უკანასკნელ ორ კვირაში ბევრი გახდა ავად ინფლუენციით

*** შაბათს, 4 მარტს, ოლგას ქუჩაზედ გაუტეხნიათ მაკაროვის მაღაზია, საიდგანაც წაუღიათ ერთი ოქროს საათი, 110 მანეთის ფოსტისა და ღერბის მარკები და 100 მანეთი ფულად. ქურდები მაკაროვის სახლის სახურავიდგან ჩაპარულან, ამოუხვრეტიათ ჭერი და ისე ჩასულან მაღაზიაში. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. მაღაზიაში უნახავთ ხერხი, ჩაქუჩი და თოკის კიბე, რომლითაც მაღაზიაში ჩასულან ქურდები, და სხვა იარაღი.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „თამარ დედოფლის სამკაული“, ზეპირ-გარდმოცემა, ჩაწერილი თავ. იასონ ციციშვილის მიერ, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა. წიგნი 64 გვერდს შეიცავს და ჰღირს 15 კაპეიკად. ვგონებთ, ეს ზეპირ-გადმოცემა სხვა თამარ ბატონიშვილს უნდა შეეხებოდეს და არა თამარ დედოფალს.

*** ქალაქის გამგეობას სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველის ბ-ნ მიგრანოვის ნაცვლად, რომელმაც სამსახურს უკვე თავი დაანება, დაუნიშნავს ამ თანამდებობაზედ სავაჭრო სამეურნეო ზედამხედველის თანაშემწე ბ.ნი როხლინი.

## ქალაქის საბჭო

6 მარტი

კრების დაწყებისთანავე, გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მიერ წარმოგზავნილი ქაღალდი, რომელშიაც მოყვანილი იყო კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის განაჩენი საბჭოს დადგენილების შესახებ ქალაქის ცხენის რკინის გზის იჯარით მიცემის შესახებ ბელგიის უსახელო საზოგადოებისათვის. მთავარ-მართებელს კანონიერად და მცხოვრებთა ინტერესების შესაფერისად უცვნია საბჭოსა და ამ საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნ რობის მიერ შემუშავებული ხელ-შეკრულობა და დაუმტკიცებია.

საბჭომ მოისმინა საკანდიდატოების პატრონთა — პელაგია ლომიძისა და სტეფანე ანიევისა და სასტუმროს პატრონის ილია ბაქრაძის თხოვნა,

---

დავს გლეხკაცობას.

სიტყვა არ გაეთავებინა სტეპკოს, რომ გეგენა და მიხა ფეხზედ წამოიჭრნენ და ცივი უარი გამოაცხადეს გამგეობის წევრობისა. „ჩვენ დრო და მოცალეობა არა გვაქვს მაგ საქმეს ყური უგდოთ და თუნდაც დრო გვქონდეს, მაგის შესაფერი ცოდნა არა გვაქვს, ჩვენ ვაჭრობისა რა გაგვეგებაო“. „იმისთანა კაცები ამოირჩიეთ, რომელნიც მაგ საქმეს პირ ნათლად გაუძღვებიან, სასარგებლონი იქმნებიანო“. მასწავლებელი გარსევანიც უთანხმოების ნიშნად თავსა და ხელებს იქნევდა, უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ ამ ჟივილ-ხივილსა და აურ-ზაურში აღარა ისმოდა-რა. მხოლოდ სამსონი იჯდა უძრავად და გულის ფანცქალით მოელოდდა, აცა როდის იქნება ყველამ ჩემს გამგეობის წევრობაზედ თანხმობა გამოაცხადოსო.

— ბატონებო, ნება მიბოძეთ მეც ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ, წამოდგა მამა ალექსი. შესწყდა ხმაურობა და ყველამ იქით მიიხედა. აქ გამგეობის წევრნი დაასახელეს, მაგრამ იმას კი არა კითხულობდნე, ამ ჩვენს განზრახულს საქმე რა გვარი ცოდნის, ხასიათისა და უნარის პატრონნი ესაჭიროება. წინად აქ გამოითქვა ის აზრი, რომ ჩვენ ბმოლა მოგვიხდება ჩარჩ-მოვაჭრეებთანაო, მე დავუმატებ — ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. ამიტომ ამ საქმის მოთავე ყოველის მხრით შემკული უნდა იყოს მაღალის ღირსებით, უნდა იყოს უანგარო, საზოგადო მოღვაწე, გამსჭვალული საზოგადოების სიყვარულით, მათი ჭირი საკუთარ ჭირად უნდა მიაჩნდეს და ლხინი ლხინებდეს, უნდა დავიწყებული ჰქონდეს პირადი ანგარიშები თავ-დავიწყებამდის და მასთან უნდა ჰქონდეს ვაჭრობა აღებ-მიცემობის ცოდნა, უნარი, წინაამდეგ შემთხვევაში თქვენი დაწყებილი საქმე დღე ნაკლული, ცუდ ვარსკვლავზე დაბადებული გამოვა. აი, სწორედ ამისთანა კაცად მე სტეპკო მიმაჩნია, რომელმაც ეს საკეთილო საქმე მოიწადინა, რამდენიმე წელი ულვაწნია, თავი უტეხნია ამ საქმისათვის, არავითარი შრომა, ფიქრი არ დაუზოგავს ამისათვის და რომელიც ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულია და აღჭურვილი ყველა იმ ღირსებით, რაც მე ჩამოვთვალე. ვთხოვოთ სტეპკოს, რომ ეგ იყოს გამგეობის თავმჯდომარედ და ხელმძღვანელადაც.

— ვთხოვთ ყველანი გულით, ვთხოვთ! და ყველანი ფეხზედ წამოიდგნენ სათხოვნელად.

დიდ უარზე იდგა სტეპკო: „მე რომ გამგეობის წევრობა ვიკისრო, ყვანაირად ჩამომართმევენო“, მაგრამ, რო არ უსახსრეს „ჩვენ შენს მეტს სხვას არავის ვენდობით, ფულებს სხვას არ ჩაუგდებთ ხელშიო“, ბოლოს, როგორც იყო, პირი დააკვრევინეს.

— ბატონებო, ნება მიბოძეთ ერთი სიტყვა მოგახსენოთ... ყველანი დაწყნარდნენ. რაკი არ მეშვებით და ყველანი ესე ერთხმადა მთხოვთ გამგეობის თავმჯდომარეობას, მეც ვთანხმდები, მხოლოდ, რათა არ იფიქროთ, რომ მე ჩემი საკუთარი სარგებლობა მქონდა სახეში, როდესაც ამ საქმის განხორციელებას შევუდექ, მე ჩემის მხრით ერთის წლობით უსასყიდლოდ ვკისრულობ გამგეობის წევრობას. მხოლოდ იმ პირობით დავუდგები ამ საქმეს სათავეში, თუ ამხანაგებად მეყოლებიან მასწავლებელი გარსევანი, გეგენა და მიხა. ჩვენ ჯერ-ჯერობით იმდენი თანხა არა გვაქვს, რომ ყველა შეშუდი, საქონელი ნაღდზედ ვიყიდოთ, მოვიტანოთ. ამიტომ საჭიროა კრედიტი, ნდობა, ურომლისოდაც სავაჭრო დაწესებულება ისე ვერ იხეირებს, არ გამოდგება, როგორც წისქვილი უწყლოდ. გეგენასა და მიხას, როგორც შეძლებულ ოჯახის შვილებს, ისეთი სახელი და ნდობა აქვთ, რომ ტფილისში ყველა მოვაჭრე გვენდობა და ნისიადაც გამოგვატანს საქონელს. ვიხოვოთ, რომ მაგათაც ჩემთან ერთად იკისრონ გამგეობის წევრობა, თორემ ორას, სამას თუმანს ძლივს მოვაგროვებთ, ამით რა იოლი უნდა გავხდეთ.

კრებაზე დამსწრეთ დიდხანსა სთხოვეს ორივეს ეკისრნათ გამგეობის წევრობა, მაგრამ ისინი ცივს უარზედ იდგნენ „ჩვენ ჩვენს საქმესაც ვერ გავწვდომივართ, სად მოვიცლით მაგისათვისო“.

— ბატონებო, წამოდგა მამა ალექსი: როგორც სტეპკოს სიტყვიდგან გამოირკვა, მაგათი გამგეობის წევრობა სახელისა, ნდობისათვის არის საჭირო, ამიტომ არ მოეთხოვებათ მაგათ, რომ ნიადაგ დღე ვაჭრობას თავს დასტრიალებდნენ და არშინი და ჩოთქი ეჭიროთ ხელში.

— არა ეგენი მხოლოდ პირველ შემთხვევაში წამოვლენ ტფილისში ნდობის გასაკეთებლად, მერე-კი თავისუფლები იქმნებიან. ნიადაგ დღე, გამოულევლად მე და გარსევანი ვიქნებით, დაუმატა სტეპკომ.

როგორც იყო, რის წვალებით დაიყოლიეს. „ეხლა თქვენ რომ უარი განაცხადოთ, ეს საქმე ჩაიშლება, მტერს გავახარებთ და მერე სად რა უნდა ვთქვათო“. „თქვენ შეგიძლიათ კვირაში ერთხელ შემოიაროთ, ოლცა მოიცლითო“.

— ეხლა ბატონებო, ის უნდა გადავწყვიტოთ, სად მოვათავსოთ ჩვენი ამხანაგობის ვაჭრობა, „კავშირი“, სთქვა სტეპკომ. ჩემის აზრით, პირველ ხანში, სანამ საკუთარს შენობას შევიძენდეთ, კარგი იქნება დავიქირაოთ სტეფანაანთ დუქანი, ჩემი ძმის დუქნის პირდაპირ. თქვენ რას იტყვით?!.

რადგანაც იმაზე მოხერხებულ ადგილს სხვაგან ვერ იშოვნიდნენ, ყველამ ამაზედ თანხმობა გამოაცხადა. დანარჩენი საქმე, ფულის მოკრება, ნოქრების დაქირავება, საქონლის მოტანა გამგეობის წევრთ მიაკისრეს...

ცოტაოდენის დანაყრების შემდეგ ყველანი კმაყოფილნი დაიშალნენ, მხოლოდ სამსონი წამოვიდა კრებიდგან გულ-ნატკენი. მიდიოდა სახლში და თან სახეზედ ალმური ასდიოდა. „მე თქვენ გიჩვენებთ, როგორც მიიზიდავთ ხალხს. ამას იქით თქვენის მტრობის მეტს აღარაფერს გავაკეთებ, ვნახოთ, მოელება ბოლო, ზინჯზე დაეცემა თქვენი დამპალის ძაფებით შეკოწიწებული „კავშირი“, თუ არაო“!..

ე—ლი

(შემდეგი იქნება)

რომ სატრაქტირო გარდასახადიდგან გაგვანთავისუფლეთო. გამგეობას ცნობები შეუკრებია, რომ ლომიძე და ანიევი ჩაისა, ყავასა და სხ. და საჭმელებს აღარ ჰყიდიან თავიანთ საკანდიტროებში, ხოლო ბ-ნს ბაქრაძეს ვაჭრობა შეუჩერებია 1898 წლის ნახევრიდგანო, და ამიტომ შესაძლებლად უცვნია მათი თხოვნის დაკმაყოფილება. საბჭომ შეიწყნარა გამგეობის წინადადება.

წაკითხულ იქმნა შუამდგომლობა დიდუბის ეკკლესიის მღვდის მამა კალისტრატე ცინცაძისა იმის შესახებ, რომ დიდუბეში ცეცხლისაგან დაზარალებულნი დიდს გაჭირვებაში იმყოფებიან, არც თავ-შესაფარი აქვთ, არც ტანთსაცმელი და არც სასმელ-საჭმელი და ქალაქმა შემწეობა აღმოუჩინოსო. კრებამ გამგეობას დაავალა შეჰკრიბოს ცნობები ამ საგნის შესახებ და, ზარალისა და საჭიროების მიხედვით, ღონისძიება იქმნას ხმარებული მათდა დასახმარებლად.

სახლებზედ ნომრების გაკვრისა და სადაც საჭიროა, საზოგადოდ ნომრების გასწორების შესახებ, გამგეობის წინადადების თანახმად, საბჭომ დაადგინა, რომ ეს საქმე უკვე არსებულს კომისიას მიენდოს და სახლები დაინუმროს იმათ პატრონთა ხარჯითო.

კრებამ, მოისმინა-რა ხმ. ოსტროგორსკის განცხადება, რომ ავადმყოფობისა გამო, იძულებული ვარ სამოსწავლო კომისიის წევრობას თავი დავანებოვო. საბჭომ, ქალაქის მოურავის წინადადების თანხმად, დაადგინა მადლობა გამოეცხადოს ბ-ნს ოსტროგორსკის ხანგრძლივ და ნაყოფიერ შრომისათვის.

შემდეგ წაკითხულ იქმნა წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკკლესიის (ვერაზე) მრევლის თხოვნა და საქართველოს ეგზარხოსის წინადადება, რომ ამ ეკკლესიასთან ეტლით მისასვლელი გზა არ არის და გაიყვანოს ქალაქის გამგეობამო. გამგეობას მოლაპარაკება გაუმართავს ზოგიერთ მემამულესთან, რომ ქუჩის გასაყვანად ადგილი დაგვითმეთო და ბ-ნ პეტრეს მაკაროვს თანხმობა განუცხადებია 4 საჟენის სიგანე ადგილის დათმობისა. ამიტომ გამგეობას დაუდგენია, რომ, რადგან სხვა საშუალება არ არის, მივიღოთ ბ-ნ მაკაროვისაგან ეს ადგილი და 4 საჟ. სიგანე ქუჩა გავიყვანოთო. ხმ. ა. ს. ბაბოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საბჭოს დადგენილებით, 6 საჟენზედ უფრო ვიწრო ქუჩა არ უნდა იქმნას არსად გაყვანილი და საჭიროა ეს დადგენილება ეხლაც დაცულ იქმნასო, მაგრამ, ხმის უმეტესობით, საბჭომ გამგეობის წინადადება შეიწყნარა.

კრებას მოხსენდა შუამდგომლობა ლოტობის წინააღმდეგ დაარსებულ საზოგადოებისა და სახალხო კითხვების კომისიისა იმის შესახებ, რომ ქალაქმა 190 საჟ. მიწა დაგვითმოს. ამ ადგილზედ შენობას ავაგებთ, რომელშიაც უნდა მოვათავსოთ სახალხო თეატრი, წიგნთ-საცავ-სამკითხველო და აუდიტორიაო. ეს საზოგადოება და კომისია ჰპირდება საბჭოს, რომ შენობას ქალაქის სახელობაზე ავაგებთ, ე. ი. ქალაქის საკუთრება იქნებაო; გარდა ამისა, თუ საზოგადოებამა და კომისიამ მოსპეს თავიანთი მოქმედება, ეს სახლი ისევ ხალხის განათლების საქმის საკუთრებად უნდა დარჩესო. გამგეობას საჭიროდ დაუნახავს შუამდგომლობის დაკმაყოფილება და დაუდგენია ანდრეევის ქუჩაზედ დაეთმოთ ქალაქის მამულიდგან 166 საჟ. მიწაო. ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია: ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ქალაქს თავისის საკუთარ სკოლებისათვისაც არ აქვს შიგ ქალაქში საკმაო ადგილები და ასეთი გულ-უხვობა თუ გამოიჩინა, როცა თითონ დასჭირდება მიწა ხელ-ცარიელი დარჩებაო. ამათ საფუძვლიანად უპასუხა თითო-ოროლა კაცმა, რომ სამკითხველო, სახალხო თეატრი და სახალხო კითხვები ხალხის განათლების საქმეს ემსახურება; რიგიანს ქალაქებში ამ გვარ საქმეებისათვის ქალაქის თვით მმართველობა ჰზრუნავს და აქ თუ სხვები აკეთებენ იმას, რაც ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა, ცოტაოდენი დახმარება მაინც უნდა აღმოვუჩინოთო. ხმის უმეტესობით საბჭომ დაადგინა: მიენდოს სამოსწავლო კომისიას ლოტობის წინააღმდეგ საზოგადოებასთან და სახალხო კითხვების კომისიასთან ერთად, გამოარკვიოს ეს საგანი და როგორც საუმჯობესოდ დაინახავს, იმ გზას დაადგეს.

დასასრულ, პურისა და ხორცის ნიხრის დამნიშვნელ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ხმოსნები ქოჩორიანცი, ვეტცელი, აკოფოვი, ეგიაზაროვი, ქალანთარი და თავ. ნ. ი. არღუთინსკი.

---

## წერილი ხევიდგან.

ქვეშეთის საბოქაულოს (დუშეთის მაზრა) შეადგენს მცხოვრებნი: ხევისა, მთიულეთისა, თრუსოსი, გუდამაყრის და ხანდოსი. აქ ჩამოთვლილს თემებში სულ ათი სამამასახლისო ირიცხება, რომელთა შორის ორი საზოგადოება შესდგება ოსთაგან, სახელდობრ: თრუსო და კობი, დანარჩენ რვა საზოგადოებაში სცხოვრობენ ქართველები. მცხოვრებთა რიცხვი, როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგან სჩანს, შეადგენს ორივე სქესისა 17949 სულსა და უჭირავსთ 155,273 დესეტინა მიწა. რასაკვირველია, ხალხის რაოდენობის მიხედულობით, მიწა ცოტა არ არის, მაგრამ სიმრავლით რა გამოვიდა, როდესაც ჩვენი მიწა სიმაღლით კასპიის ზღვიდგან შვიდი ათასს ფუტს აღემატება და ამ მიწით სარგებლობთ მარტო ხუთს ან ოთხს თვესა. დანარჩენს დროს-კი თოვლს ქვეშ არის მოქცეული და არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ხალხისთვის. აქ ქერას მეტი სხვა არაფერი ხარობს და ისიც სამისოთხის თვის საკმარისი არ მოდის. დანარჩენს დროს-კი უნდა ისაზრდოოს ხალხმა კაკაბეთში ნაყიდის სიმინდით. კაკაბეთში სიმინდი ჯერ ძვირი არ არის, რადგან თერგის ოლქში უხვი მოსავალი იცის, ფუთს 30—40 კაპეიკად ყიდულობენ, მაგრამ ჩვენს მთის ხალხს ამ ფულის შოვნაც თანდათან უძნელდება.

ქვეშე საბოქაულოს მკვიდრნი—ხევი და მთიულეთი საქართველოს სამხედრო გზას იქით-აქეთ მხარეზედ მოსახლობენ და ეს გზა მეტად ასაზრდოებდა მთის ხალხსა. უწინდელ წლებს გზას აურიდნენ ხვრიშას და ინჟინრები აქამდის იძლეოდნენ საჟენს ხვრიშაზედ, მოტანით და გატეხით, 25—30 მან. ეხლა-კი 7—11 მანეთამდე ჩამოიყვანეს.

მეორე წყარო იყო ჩვენის ხალხის არსებობისა ქირა საქონლის გადატანისა, რომელიც იგზავნებოდა რუსეთიდგან კაკაბამდე რკინის გზითა და აქედგან ტფილისამდე მთის ხალხის ურმებით; ეძლეოდათ ფუთზედ 30—50 კაპ., მაგრამ ეს წყაროც მოაკლდათ რკინის გზის გაყვანით ბაქომდისინ. მესამე საარსო ხალხის საზრდოებისა იყო და არის ცხვრის მოშენება, მაგრამ, საუბედუროთ, მეტად გაძვირდა საბალახე როგორც ზამთრისა, ისე ზაფხულისა. მაგალითად, წინად ას ცხვარზე აძლევდნენ საბალახოში ერთს ცხვარს (ჩედილას) ანუ სამს მანეთს, ეხლა აძლევენ 8—10 მან. ზამთრის საბალახეში თერგის ოლქში მემცხვარე იხდიდა 5 მანეთს, ეხლა იხდიან 15—25 მანეთამდე. 1878 წლამდე ცხვარი გზის ბაჟს არ იხდიდა, ეხლა-კი ყოველს სულზედ ბაჟთის გზის საბაჟოახდევინებს სულზედ 2—6 კაპეიკამდე.

ამას კიდევ ზედ დაერთო ცხვრის მატყლის მაზანდის (ფასის) დაცემაც. დრო იყო, როდესაც ფუთი მატყლი იყიდებოდა ხუთ-ექვს მანეთად, ამ უკანასკნელს სამს წელში მატყლმა დაიწია 4 მანეთიდამ სამ-მანეთნახევრამდე. საკვირველებაა, როდესაც ხარკოვის იარმუკებზედ ამ მიმდინარე წლის იანვრის თვეში მატყლი ადგილობრივი ცხვრისა, როგორც გაზეთებით ვიწყით, ჩუჩუიანი იყიდებოდა 23 მანეთად, ხოლო გარეცხილი სუფთა მატყლი 42 მანეთად ფუთი. ამავე დროს ქართულის ცხვრის მატყლის ფასი-კი ასე დაცემულია. ნუ თუ ჩვენი მატყლი ასე მცირე და გამოუდეგარი არის ფაბრიკებისთვის?

ყველა ამ გარემოებამ აქაური ხალხი გაადატაკა. ამიტომაც უმრავლესი ნაწილი მთის ხალხისა საცხოვრებლად ცოლ-შვილით თერგის ოლქში გადადის, უფრო-კი კაკავის მახლობლად, სადაც დღიურად ისაზრდოებენ თავს.

აგრეთვე ამ ხალხს არ გააჩნია დასაბამითვე არც სკოლა (თუ არ ვიქონიებთ მხედველობაში მარტო უაზრეგის ბირველ დაწყებითს სასწავლებელსა) და არც სამმართველოები. დიდი ხანია, რაც ჩვენი ხალხი მიჩვეულია სამმართველოს მაგიერად დუქანს. სამსჯავროც ახლოს აქვს სასმლის დუქნებსა და კანცელარიის მოსამსახურეც დუქნის მოსამსახურეა. ამიტომაც ხალხს ეს აკერია ენაზე: „ბეჩავი და საწყალნი ვართ, იმის დღე სადა გვაქვს, სასოფლო სამმართველო ავაშენოთ და მამასახლისს და მწერალს ჯამაგირები ვაძლიოთ?“ ის-კი ავიწყდებათ საწყლებს, რომ ერთი ბილეთი, დუქანში მიკიტნისაგან დაჯდაბნული და ყველგან გამოუსადეგარი, ათი შაურიდგან მანეთამდე უჯდებათ და ამისთანა ბილეთი წელიწადში რამდენიმე უნდებათ. ადგილობრივმა სამაზრო მართველობამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და ქვეშეთის საბოქაულოში ახალმა მაზრის უფროსმა წინადადება მისცა ხალხს, აერჩიათ თავის შორის ნასწავლი მამასახლისები და მწერლები. ამათ ყველას ჯამაგირი უნდა მიეცეს, აშენდეს სამმართველოები, დაინიშნოს მოსამსახურეები და სხ. ეს გონივრული წინადადება მთავრობისა ხალხს არ მოეწონა და მთლად უარი განაცხადეს. ჯერ-ჯერობით ისევ ძველის წესით ასრულებენ ძველივე მამასახლისები თავიანთ თანამდებობასა.

კალმის-წვერა

---

## დამავიწყდა

ძნელად მინახვანან კაცნი, აღზრდილნი მატრაბაზთა ენასა შინა, რომე თვითც მატრაბაზნი არ იყვნენ.

ლასურიძე

* * *

ზოგიერთი ეშმაკი კაცი მაგონებს იმ პატარა ფრინველს, რომელსაც თითონ არ ძალ-უძს თვით კუთხემდე მიფრენა და მხრებზედ აჯდება იქით მიმავალ წეროებს... განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ფრინველი გულ-უბრყვილოდ აღიარებს თავისს ულონობას, ადამიანი-კი არას დროს.

ს. ყ—ნი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ორის წლის წინად ახალგაზდა მეუღლენი, გვარად ო'მალლნი, ამერიკელნი, ფეხით მგზავრობას შესდგომიან. მეუღლეებს გადაუწყვეტიათ ხუთის წლის განმავლობაში შემოუარონ ფეხით მთელ დედამიწას. მგზავრობას ქალაქ სან-ფრანცისკოდგან შესდგომიან. ქმარი ჟორჟ ო'მალლი ნიუ-იორკელია. 1892 წელს ჟორჟს ჯილდო მიუღია იმისთვის, რომ 1000 საათში 2000 ინგლისური მილი გაუვლია ფეხით. ეს ჯილდო მოსვენებას არ აძლევდა თურმე ვინმე ფონტენს, ავსტრალიელ ხანგს, რომელიც აგრეთვე გატაცებული იყო მგზავრობით. ბოლოს ფონტენი შესჯიბრებია ო'მალლის. პირობა დაუდვიათ: შეუდგნენ ფეხით მგზავრობას და ვინც ხუთის წლის განმავლობაში ფეხით შემოუვლის დედამიწას და დანიშნულ დღეს უკან დაბრუნდება, მიიღებს ჯილდოდ 150,000 მანეთს. ეს ფული ამ ჟამად ნიუ-იორკის ბანკში ინახება. ჟორჟ ო'მალლი მგზავრობას ცოლთან ერთად შესდგომია. ახალგაზდა მეუღლეებს უკვე გაუვლიათ კალიფორნია, კოლორადო, ტენასი, არიზონი, ახალი მექსიკა, ფლორიდა, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. კვებეკიდგან გემით ლონდონში გადასულან, შემდეგ ანტვერპენში; ხოლო აქედგან გაუვლიათ ლიუტიხი, ბრიუსელი, ახენი, ბერლინი და ამას წინად ვენაში მისულან. ხანგი სხვა გზით წასულა და ეხლა, როგორც ამბობენ, სპარსეთში უნდა იყოს. ო'მალლებმა ორი თვით გაასწრეს თურმე. ბარგს მეუღლენი წინდაწინვე რკინის გზით ჰგზავნიან, თან მათ მხოლოდ პატარა დასაკეცი კარავი აქვთ, ერთი წყვილი ფეხსაცმელი და ორი წყვილი საცვალი. ყველა ქალაქში პოლიციისაგან მოწმობებს იღებენ. ამ მოწმობებს თვით პოლიციავე ნიუ-იორკში ჰგზავნის. ახალგაზდა მეუღლეებს პირობისამებრ თან ფული არ წაუღიათ; თავს ირჩენენ მხოლოდ იმით, რასაც ლექციების კითხვით იღებენ. ამას გარდა სხვა-და-სხვა ადგილას გადაღებულ ფოტოგრაფიულ სურათებსაცა ჰყიდიან თურმე.

---

## „ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ 18 დეკემბერს გამართულ კონცერტის ანგარიში.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ წარსულს 1899 წლის 18 დეკემბერს გამართულ კონცერტიდგან შემოვიდა: ბილეთების ფასი 1084 მან. და პრემიები 96 მ. 40 კ., სულ 1180 მან. 40 კ.

დაიხარჯა: „ტფილისის სობრანიის“ ქირა 100 მან., მუსიკა და ზურნა 43 მან., მარკები 49 მ. 10 კ., თაიგულები 10 მ. 30 კ., მიეცა ზოგიერთ კონცერტის მონაწილეს 150 მან. და სხვა-და-სხვა წვრილმანი ხარჯი 54 მ. 93 კ., სულ 407 მ. 33 კ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 773 მ. 07 კ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა თავისს მოვალეობად სთვლის უღრმესი მადლობა უძღვნას კონცერტში მონაწილეობის მიღებისათვის: კნ. კ. ფ. გურამიშვილისას, კნჟ. ბ. მ. ამირეჯიბს და ბბ-ნთ: მ. ვ. სერბულოვს, ზ. პ. ფალიაშვილსა და იმის მომღერალთა გუნდს, კ. ს. მესხს, კნ. ი. ა. ბარათაშვილს და ნ. დ. კოვალენსკის; პრემიების შემოწირვისათვის: კნ. ე. თ. სტაროსელსკისას, ს. ლ. ერისთვისას, ა. დ. გაგარინისას, ტ. დ. გრუზინსკისას, ა. ა. ამილახვარისას, ე. ნ. ბაგრატიონ მუხრანბატონისას, კ. ა. სერებრიაკოვისას, ნ. ა. ხერხეულიძისას, კნ. ზ. გ. ერისთავს, ზ. გ. ჭავჭავაძეს, მ. ქ. ამირაჯიბს ოჯახითურთ, ვ. ლ. ველიჩკოს და № № №; უფასოთ განცხადებების დაბეჭდვისათვის: „Кавказъ“-ის, „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მარტი

**კალკუტა.** ინდოეთის ჯარის მთავარ სარდალი გენერალი ლოკჰარტი დღეს გარდაიცვალა.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ ლედი-სმიტიდგან, რომ ბიგერის მთებში უფრო მაგარი პოზიცია ბურებისა ის არის, რომელიც ნიუკესტლისაკენ მიმავალ გზაზედ მდებარეობს, ბურებმა იქ რამდენიმე ზარბაზანი დესდგეს. ნაკლებ არის გამაგრებული ბურების ის პოზიცია, რომელიც დენდისაკენ მიმავალ გზაზედ მდებარეობს.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან: რეიცმა განუმარტა კორესპონდენტებს, რომ ტრანსვაალის მთავრობა კმაყოფილია შეერთებულ შტატების პასუხითაო. ამასთან რეიცმა სთქვა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა თავისს გავლენას არ დაზოგავს ზავის იმ პირობათა სასარგებლოდ, რომელთა მიღებაც შესაძლებელი იქმნება რესპუბლიკებისათვისაო. რეიცმა დაბეჯითებით სთქვა, რომ ორივე რესპუბლიკა სიკვდილამდე ეცდება დამოუკიდებლობის დაცვასაო.

**კიმბერლეი.** პოლკოვნიკი პიკმანი, რომელმაც ცხენოსანის ჯარით რეკოგნოსციროვკა მოახდინა, ფორტინსტრიმსთან 500 ბურს წააწყდა. ბურებს ორი ზარბაზანი ჰქონდათ. ბურები არ მოელოდნენ თავს დასხმას; პასუხი ინგლისელებს მათ ზარბაზნებითა და თოფებითვე გასცეს. ინგლისელების მხრივ ორი კაცი დაიჭრა.

**ტორონტო.** კანადის წითელის ჯვრის რაზმის წევრი რაიერსონი 3 მარტს დეპეშით იუწყება კიმბერლეიდგან, რომ აქ ათასი ავადმყოფი და დაჭრილიაო. რაიერსონს 90 საწოლი გაუმართავს ავადმყოფებისათვის. სამხრეთ-აფრიკის ყველა საავადმყოფოში სულ 17000 დაჭრილი და ავადმყოფი მეომარი წევსო.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ აშვალპორტიდგან, რომ ოლივიემ თავის ჯარით კრონშტადტისაკენ დაიწია მას შემდეგ, რაკი რუკსვილლიდგან სურსათი და საომარი იარაღი დაიბარაო. მცხოვრებნი გაჭირვებაში ჩაცვივდნენ.

7 მარტი.

**პეტერბურგი.** 6 მარტს, დღის 9 საათ. 30 წუთ. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა პირველ კადეტთა კორპუსში მიბრძანდნენ.

**კიევი.** ძლიერი ქარბუქი, რომელიც 21 თებერვალს ასტყდა ღამით, სამს დღეს მძვინვარებდა. მრავალი ადამიანი გაიყინა. რაც თოვლმა დნობა დაიწყო, თანდათან პოულობდნენ დაღუპულ კაცებს და ცხენებს, რომელთაც გზა დაჰკარგოდათ. მარტო კიევის მაზრაში ოცამდისინ კაცის გვამი იპოვნეს თოვლის ზვავებში.

**ვენა.** „Politische Correspondent"-ს აუწყებენ სოფიიდგან, რომ ბოლგარიამ მოიწადინა საშუდიატორო სასამართლოს გარდასცეს გასარჩევად ეშეკ-ადასის კუნძულების გამო რუმინიასთან ატეხილი სადავო საქმეო.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა განაცხადეს, რომ ჩინეთში მიძრაობის მნიშვნელობას აზვიადებენო. ამერიკის დესპანის სურვილით იქ გაგზავნილია პატარა გემი, რომელიც პეკინის მახლობლად მივა, რათა მეზღვაური ჯარის კაცთ ნაპირზე გადასვლა შეეძლოსთ, თუ ეს საჭირო დარჩა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ, რამდენისამე საათის კამათის შემდეგ, 182 ხმით 30-ის წინაალმდეგ, შეწყნარა საფინანსო ბილი.

**პარიჟი.** პალატამ გადასდო 2.200,000 ფრანკი საფრანგეთის თეატრის ასაშენებლად და 220,000 ფრანკი ოდეონისა და საფრანგეთის თეატრის დროებით მოსათავსებლად. პალატამ დაამთავრა ბიუჯეტის განხილვა. ხმის ჩამოტარების დროს, ლანჟინემ განაცხადა მემარჯვენეთა სახელობით, რომ ბიუჯეტის სასარგებლოთ ხმას არ მივსცემ, რადგან საფინანსო პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ადგია, საფრანგეთს ღალატკავსო. მთელი ბიუჯეტი შეწყნარებულ იქმნა 492 ხმით 34-ის წინაალმდეგ.

---

1 მარტს მომხდარ შინაგან, მომგებიან 5°/₀ სესხის მე-68 ტირაჟში მოგებანი ჰხვდა შემდეგ ნომრებს.

| №№ სერიებისა. | №№ ბილეთებ. | მოგება. | №№ სერიებისა. | №№ ბილეთებ. |
|---|---|---|---|---|
| 18,346 | 49 | 200,000 | 18,750 | 34 |
| 5,397 | 41 | 75,000 | 13,295 | 16 |
| 13,580 | 39 | 40,000 | 10,826 | 11 |
| 7,273 | 24 | 25,000 | 8,427 | 38 |
| 17,944 | 22 | 10,000 | 142 | 22 |
| 8,763 | 4 | 10,000 | 2,308 | 50 |
| 12,150 | 38 | 10,000 | 14,346 | 42 |
| 6,228 | 17 | 8,000 | 15,536 | 32 |
| 16,059 | 21 | 8,000 | 9,622 | 22 |
| 12,145 | 6 | 8,000 | 262 | 5 |
| 15,970 | 2 | 8,000 | 5,288 | 43 |
| 19,738 | 21 | 8,000 | 10,063 | 21 |
| 2,113 | 9 | 5,000 | 2,910 | 26 |
| 19,967 | 25 | 5,000 | 11,612 | 28 |
| 8,789 | 20 | 5,000 | 2,063 | 31 |
| 14,337 | 31 | 5,000 | 10,868 | 43 |
| 10,694 | 46 | 5,000 | 2,248 | 27 |
| 19,097 | 1 | 5,000 | 14,128 | 32 |
| 16,724 | 20 | 5,000 | 195 | 45 |
| 15,867 | 44 | 5,000 | 15,655 | 26 |

ხუთასი მანეთი.

| №№ ბილეთებ. | №№ სერიებისა. | №№ ბილეთებ. | №№ სერიებისა. | №№ ბილეთებ. | №№ სერიებისა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1,631 | 20 | 2,896 | 36 | 16,157 |
| 1 | 5,781 | 20 | 3,614 | 36 | 16,255 |
| 1 | 17,233 | 20 | 8,158 | 36 | 17,113 |
| 1 | 18,494 | 20 | 9,185 | 36 | 18,357 |
| 1 | 18,789 | 20 | 13,026 | 37 | 3,200 |
| 2 | 5,041 | 21 | 721 | 37 | 4,481 |
| 2 | 19,220 | 22 | 15,827 | 37 | 4,877 |
| 3 | 91 | 23 | 6,777 | 37 | 9,309 |
| 3 | 13 318 | 23 | 6,822 | 37 | 11,950 |
| 4 | 2,320 | 23 | 7,936 | 37 | 13,833 |
| 4 | 6,046 | 23 | 16,422 | 37 | 18,734 |
| 4 | 8,315 | 23 | 17,309 | 37 | 19,550 |
| 4 | 11,333 | 23 | 19,269 | 38 | 6,282 |
| 4 | 15,133 | 24 | 571 | 38 | 8,583 |
| 5 | 2,863 | 24 | 5,970 | 38 | 9,243 |
| 5 | 4,716 | 24 | 8,987 | 38 | 10,551 |
| 5 | 10,371 | 24 | 11,482 | 38 | 10,618 |
| 5 | 12,248 | 24 | 15,893 | 38 | 13,110 |
| 5 | 15,434 | 25 | 3,622 | 38 | 16,980 |
| 5 | 16,743 | 25 | 13,611 | 39 | 1,070 |
| 5 | 18,429 | 25 | 16,520 | 39 | 3,561 |
| 5 | 19,208 | 25 | 17,342 | 39 | 5,283 |
| 6 | 4,820 | 26 | 8,886 | 39 | 9,239 |
| 6 | 10,558 | 26 | 9,064 | 39 | 15,361 |
| 7 | 3,545 | 27 | 7,285 | 39 | 18,186 |
| 7 | 7,370 | 27 | 10,749 | 39 | 18,208 |
| 7 | 17,479 | 27 | 11,302 | 40 | 10,365 |
| 8 | 2,625 | 27 | 14,734 | 40 | 11,473 |
| 8 | 8,441 | 27 | 14,938 | 40 | 13,415 |
| 8 | 14,214 | 27 | 19,172 | 40 | 16,520 |
| 8 | 15,272 | 28 | 3,260 | 41 | 12,144 |
| 9 | 966 | 28 | 4,823 | 41 | 15,541 |
| 9 | 15,836 | 28 | 5,484 | 41 | 16,068 |
| 10 | 7,923 | 28 | 8,275 | 42 | 3,793 |
| 10 | 11 328 | 28 | 11,333 | 42 | 6,628 |
| 10 | 14,788 | 28 | 11,456 | 42 | 12,309 |
| 10 | 15 545 | 28 | 12,223 | 42 | 14,444 |
| 10 | 16,966 | 28 | 12,484 | 42 | 15,110 |
| 10 | 19.341 | 28 | 13,642 | 42 | 17,555 |
| 11 | 2,815 | 28 | 18,803 | 43 | 7,139 |
| 11 | 3,225 | 28 | 19,344 | 43 | 13,976 |
| 11 | 4,384 | 29 | 88 | 43 | 18,082 |
| 11 | 5,770 | 29 | 5,812 | 44 | 376 |
| 11 | 8,743 | 29 | 12,073 | 44 | 7,431 |
| 11 | 16,330 | 29 | 13,657 | 44 | 7,951 |
| 12 | 9,221 | 29 | 14,498 | 44 | 8,647 |
| 12 | 11,665 | 30 | 2,965 | 44 | 16,071 |
| 12 | 13,465 | 30 | 4,264 | 44 | 17,814 |
| 12 | 16,277 | 30 | 6,412 | 45 | 1,412 |
| 12 | 18,037 | 30 | 8,833 | 45 | 4,185 |
| 13 | 5,834 | 30 | 10,356 | 45 | 10,356 |
| 13 | 10,868 | 30 | 19,323 | 45 | 11,200 |
| 13 | 12,081 | 31 | 1,033 | 45 | 11,734 |
| 13 | 14,693 | 31 | 7,778 | 45 | 12,275 |
| 13 | 14,862 | 31 | 9,246 | 45 | 14,181 |
| 14 | 6 180 | 31 | 10,658 | 45 | 19,990 |
| 15 | 1,825 | 31 | 17,350 | 46 | 7,404 |
| 15 | 2,237 | 31 | 17,445 | 46 | 8,429 |
| 15 | 3,105 | 32 | 4,252 | 46 | 9,074 |
| 1[illegible] | 14,342 | 32 | 5,708 | 46 | 15,481 |
| 15 | 18,558 | 32 | 10,037 | 47 | 76 |
| 16 | 8,737 | 32 | 11,104 | 47 | 1,539 |
| 16 | 9,153 | 32 | 19,260 | 46 | 4,539 |
| 16 | 10,375 | 33 | 3,964 | 47 | 5,572 |
| 16 | 11,240 | 33 | 5,671 | 47 | 16,141 |
| 16 | 14,570 | 33 | 10,284 | 48 | 1,985 |
| 16 | 17,729 | 33 | 13,011 | 48 | 7,642 |
| 16 | 19,283 | 33 | 13,802 | 48 | 10,661 |
| 17 | 1,899 | 33 | 14,076 | 48 | 11,057 |
| 17 | 4,804 | 33 | 16,584 | 48 | 11,143 |
| 17 | 6,795 | 33 | 17,935 | 48 | 13,242 |
| 17 | 10,018 | 34 | 683 | 48 | 17,741 |
| 17 | 17,071 | 34 | 7,046 | 48 | 19,566 |
| 17 | 18,419 | 34 | 7,432 | 49 | 51 |
| 17 | 18,776 | 34 | 11,665 | 49 | 6,556 |
| 18 | 142 | 34 | 18,223 | 49 | 8,652 |
| 18 | 484 | 34 | 19,890 | 49 | 13,239 |
| 18 | 17,103 | 35 | 873 | 49 | 14,414 |
| 19 | 16 | 35 | 2,298 | 29 | 16.394 |
| 19 | 3,397 | 35 | 2,315 | 49 | 16,502 |
| 19 | 4,704 | 35 | 13,608 | 49 | 19,681 |
| 19 | 7,054 | 35 | 19,159 | 49 | 16,847 |
| 19 | 11,460 | 36 | 384 | 50 | 306 |
| 19 | 12,153 | 36 | 7,914 | 50 | 1,857 |
| 19 | 14,303 | 36 | 8,828 | 50 | 9,943 |
| 19 | 16,372 | 36 | 14,422 | 50 | 19,617 |
| 19 | 17,372 | 36 | 15,855 | | |

ტირაჟში გამოსულ ბილეთების სერიის № №.

17,365, 11,663, 10,572, 11,481, 19,511, 11,813, 18,706, 9,518, 6,700, 11,658, 809, 1481, 9,459, 4,665, 12,731, 3,057, 3,240, 13,859, 698, 10,911, 4,367, 2,795, 8,544, 16,971, 14,927, 4,648, 19,095, 12,099, 6,632, 12,450, 10,935, 16,578, 3,516, 2,562, 17,597, 9,875, 4,250, 3,521, 4,386, 18,576, 14,606, 6,859, 9,230, 16,090, 11,415, 2,788, 13,760, 10,991, 5,631, 2,924, 11,208, 13,825, 6,615, 3,069, 5,461, 15,572, 14,853, 13,767, 16,059, 1,257, 12,079, 11,715, 19,437, 17,646, 13,736, 8,864, 6,416, 5,507, 5,075, 16,026, 11,677, 6,197, 1,438, 2,259, 12,212, 12,240, 17,533, 3,767, 10,619, 2,305, 19,123, 16,598, 3,647, 4,426, 15,998, 2,907, 4850, 18,346, 6,891, 16,661, 19,041, 2,549, 16,651, 10,394, 5,700 4,818, 18,946, 13,068, 13,121, 9,554, 3,244, 1,441, 826, 13,937, 7,683, 7, 2,946, 16,009, 17,435, 947, 16,991, 19,082, 4,131, 19,517, 2,393, 13,413, 3,779, 16,463, 17,066, 18,767, 3,228, 19,965, 1750, 16,523, 4,653 13,780, 186, 16,359, 10,639, 16,443, 12,384, 2,062 3,780, 18,377, 1787, 17,567.

---

## შემოწირულება

რედაქციას მოუვიდა 2 მან. 60 კაპ. ახალქალაქის მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. ეს ფული შეუკრებიათ ბავშვებს ოლა იაკობაშვილს, ლევან ბოკერიას, გიორგი რატიანს, ერმილე თოხაძეს, ილია დოლიძეს და პავლე დადვაძეს მათ მიერვე 19 თებერვალს გამართულს საბავშვო წარმოდგენაზედ. წარმოუდგენიათ ორ-მოქმედებიანი კომედია „ბაიყუში". აქამდე რედაქციას ამ საგნისათვის ჰქონდა 623 მ. 35 კ., ამ ფულით გახდა 625 მ. 95 კაპ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

თიანეთში, ვინც ღვინო-არყით ჰვაჭრობს, ყოველ ახალ წლისთვის იღებენ ხოლმე დუქნების გაღების ნებას თვით სოფლის საზოგადოებისაგან და შემდეგ ადგილობრივ სამაზრო სამმართველოდგან. წარსული წლის ბოლო რიცხვებში, ჩვეულებისამებრ, თიანელმა მედუქნეებმაც წარუდგინეს სოფლის განაჩენი თიანეთის მაზრის უფროსს და ითხოვეს მოწმობები, რათა ევაჭრათ უწინდებურად ღვინო-არყით და მიეღოთ, საიდგანაც ჯერ არს, სავაჭრო საბუთების ქაღალდები. ახალმა მაზრის უფროსმა თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია დუქნების ადგილ მდებარეობას და ზოგიერთებს სამიკიტნოების გაღების ნება არ მისცა „სასმელებით ვაჭრობის წესდების მე 338 მუხლის" ძალით. რასაკვირველია, ამ ნაირი განკარგულება მაზრის უფროსისა არაფრად ესიამოვნათ ამ ვაჟბატონებს და, რომ მას ვერაფერი დააკლეს ამ კანონიერი განკარგულებისათვის, მე დამიწყეს მდურება და ჩხუბი. ერთი მათგანი დადის და დაურიდებლად, ვინ იცის, რაებს არ ლაპარაკობს ჩემზედ. ამასთანავე აქეზებს ხალხს საჩივარი აღძრან ჩემზედ საეპარქიო მთავრობის წინაშე. ამ ნაირს გუნდრუკს მიკმევენ იმიტომ, რომ მათ ჰგონიათ ვითომც მე ვიყო ავტორი იმ მოკლე შენიშვნისა, რომელიც ახალ ამბვად იყო მოთავსებული წარსულის წლის „ივერიის" მე-258 №-ში. ამ შენიშვნამ მოსწყვიტა მათ (უფრო-კი ერთს მათგანს) წელ-გული. ისინი დარწმუნებული არიან ეხლაც, რომ ამ პატარა შენიშვნამ იქონია მაზრის უფროსზედ დიდი გავლენა და ამის გამო აღარ მოგვცა ღვინო-არყით ვაჭრობის უფლება იმ ადგილას, სადაც წინადა ვვაჭრობდითო. ამის გამო უმორჩილესად ვთხოვ „ივერიის" რედაქციას დამემოწმოს, რომ მე არა ვარ ავტორი ზემოხსენებულის შენიშვნისა და მით დამიხსნას ამ გულ-დამწვარ მიკიტნების ცილის-წამება-საყვედურისაგან *).

მღ. ნიკოლოოზ კახიშვილი

*) ვაცხადებთ, რომ მამა ნ. კახიშვილი არ არის აქ მოხსენებულ შენიშვნის ავტორი. რედ.


# განცხადებანი

**რადგანაც განვიზრახე მოვსპო სამეურნეო მანქანებით ვაჭრობა, აგრეთვე გავაუქმო მაღაზია,** რომელიც მიხეილის პროსპექტზედ, №№ 79 ა და 79-ბ, საკუთარ სახლშია, ამიტომ ვნიშნავ 6 მარტისათვის საბოლოო გაჭრობას ყველა ნივთებისას. გაიყიდება შემდეგი ნივთები: წყლის ამოსაღები, სანიავებელი, ხორბლისა და ბამბის საწმენდი მანქანები, გუთნები, ღვინის საწურავები, სამკალი მანქანები, ტყავის ნაწარმოები, დანები, მაკრატლები, ლამფები და სხვა.

ყველა ნივთები ნაღდ ფულზედ გაიყიდება, საფქვავ და თვით-მოსიარულე ომნიბუსის გარდა, რომლების ფასიც შეიძლება მყიდველმა ნაწილ ნაწილ შემოიტანოს.—მაღაზია, საწყობი და სარდაფი ქირით იძლევა.—აზრადა მაქვს შემდეგში მხოლოდ იჯარები ხვიდო და მსურველთათვის მანქანები და სხვა და სხვა საქონელი გამოვიწერო. ჩემი კანტორა მოთავსებული იქმნება ჩემს სახლის ეზოში მიხეილის პროსპექტზედ.

(10—6.—3) გ. ა. კრაუზე.



(50—267—11)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის **სამზრუნველო საბჭო**

სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურს მიჰყიდოს საბჭოს ადგილი, ზომით 1000-დგან 2500 ან მეტ ოთხ-კუთხ საჟენამდე საკომერციო სასწავლებლის შენობისათვის, წერილობით განცხადება შეიტანოს საბჭოს კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 1) 1 აპრილამდე. განცხადებაში ფასიც უნდა იყოს აღნიშნული.

(8—6.—3)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან ღამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ჰქა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერივნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადხედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გავგზავნებთ. (100—150—84)


# ანგარიში

გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლისა" 1899 წლის.—

1900 წლის პირველ იანვრისათვის არის:

| აქტივი | | | პასივი. | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნაღდ ფულად . . . . . | 9595 | 33 | წილის ფული. . | 11510 | 37 |
| პარკი გაგზანილი მარსელში . | 500 | „ | სათადარიგო თანხა . . , . . | 924 | 84 |
| პარკი სახელოსნოსათვის . . | 200 | „ | მიწა . . . . . | 3300 | „ |
| ძ ფად . . . . . . . . | 105 | „ | მოგება 1899 წ. . | 7554 | 32 |
| აბრეშუმის ქსოვილები . . | 222 | 18 | | | |
| ასალები სხვა და სხვათაგან . | 2986 | 45 | | | |
| მიწა . . . . . . . . | 3300 | „ | | | |
| შეძენილი ქონება 1896/99 წწ. | 5859 | 92 | | | |
| ბ. თ. საურთიერთო ნდობის საზოგადოების საწევრო ფული. | 520 | 65 | | | |
| ბალანსი . . | 23289 | 53 | ბალანსი . . | 23289 | 53 |

მმართველი ს. ქეიშვილი

გამგეობის წევრნი: 1. გ. მარგალიტაძე 2. ღ. შავიშვილი

სარევიზიო კომისიის წევრნი: 1. გ. პავლოვი 2. ილ. მელიძე 3. ივ. ზერეკიძე

(1—63—1)